გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №6
2026 წლის 13 თებერვალი

ქ. გორი

„გორის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის (ადმინისტრაციული ორგანოს დაპირების), ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 9 მარტის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„გორის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის (ადმინისტრაციული ორგანოს დაპირების), ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 9 მარტის №20 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 16/03/2018; 040170050.35.148.016466) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტით დამტკიცებული დანართი №2-ის „3.9.“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.9. საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის საფუძველზე მარეგისტრირებელ ორგანოში საკუთრების უფლების რეგისტრაციას უზრუნველყოფს მესაკუთრე დაუყოვნებლივ, საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტების ჩაბარებისთანავე;“;

ბ) დადგენილების პირველი მუხლის მე-3 პუნქტით დამტკიცებული დანართი №3-ის „3.10.“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.10. საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის საფუძველზე მარეგისტრირებელ ორგანოში საკუთრების უფლების რეგისტრაციას უზრუნველყოფს მესაკუთრე დაუყოვნებლივ, საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტების ჩაბარებისთანავე;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **მარლენ ნადირაძე**